



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების  
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება  
სოფელ ახაშნის საბავშვო ბაგა- ბაღი

#### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

**თავმჯდომარე:**

ხარისხის ექსპერტი: ლელა დაჭავა

**წევრები:**

კურიკულუმის ექსპერტი: ეკატერინე კობახიძე

კვების დარგში ექსპერტი: ნინო მელიქიძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ლალი ალადაშვილი



## ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამაწარმო არაკომერციული იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	227767510
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	სოფელ ახაშნის საბავშვო ბაგა -ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გურჯაანი ნონეშვილის გამზ. N13



პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახაშენი	
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>		
<b>3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ</b>		
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/>	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/>	
<b>4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ</b>		
ვიზიტის საფუძველი <i>(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)</i>	ბრძანების N: MES 4260000241860 27.02.2026	
ვიზიტის პერიოდი <i>(თარიღი)</i>	18-19 მარტი	
<b>5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ</b> <small>(ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)</small>		
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა	
<b>6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ</b>		
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და		



შეწვევების დროებითი წესი <sup>1</sup> -ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.					
N	პროგრამის სახე <sup>1</sup>	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის		ქართული	100
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input type="checkbox"/> არ ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/> რეკომენდირებული რაოდენობა 43

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 მარტს, პროცესი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. დაწესებულებაში პროცესის მიმდინარეობას ესწრებოდა გაერთიანების ხელმძღვანელი, შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი, კადრების განყოფილების სპეციალისტი, მეთოდისტი, დაწესებულების მენეჯერი და თანამშრომლები. პროცესი წარიმართა თანამშრომლობით და პოზიტიურ გარემოში. ბაღმა ორდღიანი ვიზიტისას წარმოადგინა საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც თან არ ახლდა განაცხადის ფორმას, განხორციელდა ინტერვიუება და დაწესებულების ინტერიერისა და ექსტერიერის დათვალიერება.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

<sup>1</sup> აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



დაწესებულებაში ვიზიტისას დათვალელების ეტაპზე განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო გარემოს მოწყობა, როგორც გარე ისე შიდა სივრცეში ჩანს გუნდური მუშაობის თვალსაჩინო მაგალითები. აღმზრდელებს მეორეული რესურსებით მომზადებული ჰქონდათ მრავალფეროვანი რესურსები , რომელიც გამოიყენება კურიკულუმით დაგეგმილ აქტივობებისთვის . ეზო კეთილმოწყობილი, მრავალფეროვანი , მოხატული . აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება იყენებს გურჯაანის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (<https://apps.gov.ge>), გაერთიანება ბაგა-ბაღებთან დოკუმენტაციის წარმოებას ახორციელებს აღნიშნული პლათფორმის საშუალებით,რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალედ, სწრაფად და ეფექტურად წარმართვას.

### 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

.....  
.....  
.....  
.....



## ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
<b>ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა</b>		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
<b>ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა<sup>2</sup></b> სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 6 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის.		
2. კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება

<sup>2</sup> ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



	<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება



	<input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.3. მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



## ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი



## 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

### 1.1. დაწესებულების მისია

#### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს , როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს.

დაწესებულება უზრუნველყოფს აღსაზრდელთა განათლებასა და განვითარებას ინდივიდის განვითარების ყველა ასპექტის გათვალისწინებით, ქმნის მათთვის უსაფრთხო, ყოველმხრივ ხელმისაწვდომ, ჯანსაღ სოციალურ-ემოციურ და ადაპტირებულ გარემოს ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით, იყენებს სხვადასხვა რესურსს, რომელიც თამაშზე დაფუძნებული სწავლების მეთოდისთვისაა შესაფერისი, ამავდროულად საღმრთელო პროცესში მნიშვნელოვანია მშობლების, თემის და საზოგადოების ჩართულობა, ადამიანის თავისუფალი არჩევანის ზოგადი უფლებების პატივისცემა, რომელიც ქმნის არაძალადობრივ გარემოს.

“მისია , ხედვა და ღრებულებების “დოკუმენტი დამტკიცებულია ა(ა)ი.პ გურჯაანის სკოლამდელი სააღმრთელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ( მოვალეობის შემსრულებელი) 2025 წლის 15 დეკემბრის № 43.90253493 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ და დასტურდება 2025 წლის 15 დეკემბრის ოქმით. დამტკიცების წესის ვალდებულების რეგულირება დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით.

დაწესებულების მისია მკაფიოდ ასახავს ორგანიზაციის მიზანს და ღრებულებებს . ორიენტირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე , ჰოლისტურ განვითარებაზე და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**2. დაწესებულების მისიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხედვა თანხვედრაშია მისიის ძირითად პრინციპებთან და ლოგიკურად გამომდინარეობს მისგან . იგი განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების გრძელვადიან მიმართულებებს და ორიენტირებულია ბავშვთა განათლების უზრუნველყოფაზე , უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში.ხედვაში ასახულია ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვა , სოციალურ -ემოციური განვითარების მხარდაჭერა და თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ადაპტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა . აღნიშნული ხედვა გამოხატავს დაწესებულების მისწრაფებას შექმნას ბავშვზე ორიენტირებული და ხარისხზე დაფუძნებული სივრცე , სადაც იქნებიან მაღალკვალიფიციური კადრები და აქტიურად ჩართული თემი .

დაწესებულების ღირებულებები განსაზღვრულია შემდეგი პრინციპებით:

1. ირჩევს და ამკვიდრებს გუნდური მუშაობის პრინციპს, რითაც მიაღწევს საუკეთესო შედეგებს სკოლამდელი განათლების მიწოდების თვალსაზრისით. ურთიერთობა ეფუძვნება კოლეგიალურობას, პატივისცემას, ერთმანეთის აზრის გათვალისწინებას.
2. მნიშვნელოვანი ღირებულებაა ფიზიკური გარემოს უნივერსალური დიზაინის არსებობისაკენ სწრაფვა. ირჩევს და უზრუნველყოფს არამალადობრივ გარემოს. ხელმძღვანელობს ინტეგრირებული კურიკულუმით, რომელიც ორიენტირებულია ბავშვთა საუკეთესო ინტერესებზე. მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით უზრუნველყოფენ თამაშზე დაფუძნებულ აქტივობებს და სხვადასხვა მიდგომებს, ამიტომ ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს ბავშვების ინტერესების გათვალისწინება, მაქსიმალური ჩართულობა და მათი სურვილების დაკმაყოფილება დაგეგმილად თუ დაუგეგმავად.
3. დაწესებულების ვალდებულებაა თანასწორობის და სამართლიანობის პრინციპის არსებობა და დაცვა. შექმნას არადისკრიმინაციული და სამართლიანი გარემო, სადაც ყველას შეეძლება საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენა.
4. დაწესებულება ორიენტირებულია მუდმივი სიახლეების დანერგვაზე, უწყვეტად პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებაზე.

- 5. მნიშვნელოვანია თემში არსებული რესურსის აქტიური გამოყენება, არადისკრიმინაციული მიდგომა, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების და თემის ჩართულობა საგანმანათლებლო დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში.
- 6. აუცილებელია საქმიანობა იყოს გამჭვირვალე, ინფორმაციულად მისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის და გაზიარებული მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, თემის და საზოგადოებისათვის ამასთან დაცული იყოს პერსონალური ინფორმაცია. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რეკომენდაცია**

.....

**რჩევა**

.....

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

.....

**3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულებამ წარმოადგინა მისიის, ხედვის და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი , რომელსაც განაცხადის წარმოდგენისას თან ერთვის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები ბრძანება №43.90253493 ა.(ა)ი.პ. გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების “სტრატეგიული დაგეგმვის , მონიტორინგისა და შეფასების წესის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე” რომლითაც განისაზღვრა სამუშაო ჯგუფი , ასევე წარმოადგინა 2025 წლის 15 დეკემბრის ოქმი , რომელიც ადასტურებს სამუშაო ჯგუფის შეხვედრას და “მისია, ხედვა ,ღირებულებების ”განხილვასა და დამტკიცებას. ასევე წარმოდგენილია პროცესის ამსახველი ფოტო მასალა. შესაბამისად დგინდება დაინტერესებული მხარის ჩართულობა. ინტერვიუებისას დადგინდა, რომ დოკუმენტი არის გუნდურად შემუშავებული გაერთიანების ხელმძღვანელისა და სამუშაო ჯგუფის მიერ. მისიის , ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი განხორციელდა 2025 წლის 27 ნოემბრის ა(ა)ი.პ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის №43.9025331001 ბრძანების მეშვეობით. მოხდა პროექტის შემუშავება ,პროექტის გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის ,

მიღებული უკუკავშირის განხილვა და საბოლოო სახით ფორმირება. დაწესებულებამ წარმოადგინა პროცესის ამსახველი იურიდიული დოკუმენტაცია და ფოტო მასალა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

#### **4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განაცხადის გაკეთებისას წარმოადგინა ა(ა)იპ გურჯაანის „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების“ დირექტორის № ბ 43.9026020001 ბრძანებით დამტკიცებული “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”, რომლის მე-6 და მე-8 მუხლები არეგულირებს დაინტერესებულ მხარესთან გაზიარებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მეთოდებს. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით კერძოდ: გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების ა. (ა)ი.პ გურჯაანის სკოლამდელი აღზრდისა დაწესებულებების გაერთიანების წარმომადგენლების და მასში შემავალი ბაღის მენეჯერებისა და მშობლების/საკონსულტაციო საბჭოს ჩართულობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმით. 2026 წლის 30 იანვრის N1 ოქმით დასტურდება, რომ ბაგა-ბაღში ჩატარდა თანამშრომელთა შეხვედრა და მენეჯერმა გააცნო მათ შემუშავებული დოკუმენტები. ოქმზე დაფიქსირებულია თანამშრომელთა ხელმოწერები.

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდზე, ა. (ა)ი.პ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სოციალური ქსელ facebook -ის გვერდზე სოფელ ახაშენის, საინფორმაციო დაფაზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი
- 2 ა(ა)იპ გურჯაანის „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების“ დირექტორის № ბ 43.9026020001 ბრძანებით დამტკიცებული “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”,
- 3 ა(ა)იპ გურჯაანის „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების“ დირექტორის ბ43.902534493 ბრძანება “სტრატეგიული დაგეგმვის , მონიტორინგის და შეფასების წესის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე “
- 4 2025 წლის 15 დეკემბრის “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის” სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი ასევე პროექტის შემუშავების , გაცნობის , უკუკავშირის ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტო მასალა
- 5 2026 წლის 30 იანვრის სოფელ ახაშენის ბაგა- ბაღის თანამშრომელთა შეხვედრის ოქმი ( მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტის გაცნობა )
- 6 ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
<b>1.1. დაწესებულების მისია</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>



## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დასტურდება ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების 2025 წლის 27 ნოემბრის №43. 9025331001 ბრძანებით „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების 2025 წლის 27 ნოემბრის №43.9025331001 ბრძანების მეშვიდე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია პროცესის წარმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი. დოკუმენტის მიხედვით პროცესში ჩართული მხრეები იყვნენ ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების გაერთიანების წარმომადგენლები, მასში შემავალი საბავშვო-ბაღების წარმომადგენლები მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭო, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, მერის მოადგილე რომლის საკურატორო სფეროშიც შედის ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება, გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სკოლამდელი განათლების სპეციალისტი, ა(ა)იპ გურჯაანის სამუსიკო სკოლების გაერთიანების დირექტორი, ა(ა)იპ გურჯაანის სამუზეუმო და საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, რაც გამოიხატება სამუშაო სახის შეხვედრებში. სამუშაო ჯგუფი შექმნილია გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის (მოვალეობის შემსრულებელი) 2025 წლის 15 დეკემბრის 43.90253493 ბრძანებით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება 2025 წლის 15 დეკემბრის შეხვედრის ოქმით. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად, წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ფორმას და აღწერილ პერიოდულობას. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფორმასა და მეთოდოლოგიას, ასევე სტრატეგიული გეგმის შეფასების ფორმას და პერიოდულობას. მეთოდოლოგია მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის გზები.

ამრიგად, დაწესებულებას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული, დროში გაწერილი და შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, რაც მნიშვნელოვანია სტრატეგიული გეგმის ეფექტურობისა და დაწესებულების მუდმივი განვითარებისთვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ( მოვალეობის შემსრულებელი) 2026 წლის 29 იანვარს N 843.90260292 ბრძანებით დამტკიცებული 2026-2031 წლების სტრატეგიული გეგმა , რომელიც არის ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან . წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



### 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებას აქვს შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2026 წლის 29 იანვრის ბ43.90260293 ბრძანებით . წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დამტკიცებული სტრატეგიული გეგმიდან, რომლის მიხედვითაც ხდება ყოველწლიური თვითშეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

### 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. დოკუმენტში გაწერილია: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა, ინდიკატორი, მტკიცებულება, განხორციელების პერიოდი, პასუხისმგებელი ერთეული, ადამიანური რესურსი, დაფინანსების წყარო, მატერიალური რესურსი. შესრულების ინდიკატორები გაზომვადია და გამოსახულია კონკრეტულ ციფრებში. მტკიცებულებებით შესაძლებელია შესრულებული საქმიანობის დადგენა. განხორციელების პერიოდი რეალისტურია პროცესთან მიმართებაში. პასუხისმგებელ ერთეულში მითითებულია დაწესებულების საბავშვო ბაღები ან კონკრეტული ფუნქციის პირები.



ადამიანურ რესურსში მითითებულია დაწესებულების სამტატო განრიგით განსაზღვრული ადამიანური რესურსი. დაფინანსების წყაროდ მითითებულია გაერთიანების ბიუჯეტი. მატერიალურ რესურსში მითითებულია არსებული რესურსი ან ის რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია დაწესებულებისთვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

### 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასების პროცესში ვლინდება ზუსტი საჭიროებები და დაწესებულებას საშუალება ეძლევა, საჭიროების შემთხვევაში, დააკორექტიროს მიზნები და ამოცანები, ხოლო საბოლოო შეფასების ძირითადი მიზანია შემდგომი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისათვის ინფორმაციის უზრუნველყოფა. საბოლოო შეფასება ტარდება სტრატეგიის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 თვისა, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს შესაძლებელი გახდეს შედეგების გამოყენება შემდგომი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. ვინაიდან სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია მიმდინარე წელს შესაბამისად მისი შეფასებისა და მონიტორინგის მტკიცებულება დაწესებულებას არ გააჩნია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)ი.პ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის (მოვალეობის შემსრულებელი) მიერ 2025 წლის 27 ნოემბრის ბრძანება N ბ 43.9025331001 -ით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის , მონიტორინგის და შეფასების წესის მიხედვით 2026 წლის სამოქმედო გეგმის საანგარიშო წლის ბოლოს და სტრატეგიული გეგმის 2,5 წლის ბოლოს შესრულების შედეგები გაფორმდება ანგარიშის სახით. სამოქმედო გეგმის ანგარიში ჩამოყალიბდება ნარატიული ფორმით. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა.შ. ზემოაღნიშნულის შესაბამისად სოფელ ახაშენის საბავშვო ბაგა -ბაღი განახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს და შეფასებას. ანგარიშ(ებ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების facebook სოციალურ ქსელში ან/და მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გამოყოფილი სივრცეში და დაწესებულების ელ.ბრუნვის სისტემის (apps) საშუალებით გააცნობს ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების 2026 წლის 29 იანვრის **ბ43. 90260292** ბრძანებით დამტკიცებული „2026-2031 წლების სტრატეგიული გეგმა“
2. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების 2026 წლის 29 იანვრის **ბ43. 90260293** ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის სამოქმედო გეგმა
- 3 ა(ა)იპ გურჯაანის „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების“ დირექტორის № ბ 43.9026020001 ბრძანებით დამტკიცებული “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი.
- 4 ა(ა)იპ გურჯაანის „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების“ დირექტორის **ბ43.902534493** ბრძანება “სტრატეგიული დაგეგმვის , მონიტორინგის და შეფასების წესის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე “
- 5 2025 წლის 15 დეკემბრის “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის” სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი ასევე პროექტის შემუშავების , გაცნობის , უკუკავშირის ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტო მასალა
- 6 2026 წლის 30 იანვრის სოფელ ახაშენის საბავშვო ზაგა ბაღის თანამშრომელთა შეხვედრის ოქმი (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დოკუმენტების გაცნობა )
- 7 ინტერვიუს შედეგები

<b>შეფასება:</b>			
<b>1.2. სტრატეგიული განვითარება</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>



## 2. კურიკულუმი<sup>3</sup>

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

### კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 6 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

#### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის დეკლარირების ბრძანება „კერძოდ; ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის ბრძანება N43. 9026030001 კურიკულუმის დამტკიცების შესახებ. ასევე წარმოადგინილი აქვთ ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანება N43 90260297 „ კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების,შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“.

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-6 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანება N43 90260297 „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების,შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი,“რომლის მიხედვით კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის, შექმნის, ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა, კურიკულუმების შერჩევის და დამტკიცების ეტაპებს. დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტები: ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანება N43.90260298 კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ასევე წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის მიზნით სამუშაო შეხვედრის ოქმი.

<sup>3</sup>მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.



დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმი, რითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეული.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შერჩეული აქვს ადრეული განათლების კურიკულუმი, „თამაში“ 2-დან 6 წლამდე შერეული და ასაკობრივი ჯგუფებისთვის. ეს კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ შედეგების მიღწევას .განვითარების ხუთ სფეროს (ფიზიკური და სენსორული, სოციალურ -ემოციური., კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, შემეცნებითი განვითარება , დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის გავითარება) და სამ მიმართულებაში (ჯანსაღი ცხოვრების წესი და მეცნიერების ელემენტები,ხელოვნება , წიგნიერება) ,, ადრეული განათლების კურიკულუმი თამაშს“ აქვს ორი მთავარი მიზანი, ჯგუფის ერთობა და კვლევა აღმოჩენა.ჯგუფის ერთობა ქმნის თანამშრომლობითი სწავლების კულტურას,ავითარებს სოციალური პასუხისმგებლობის და ემპათიის უნარებს. კვლევა აღმოჩენა კი ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის , მიზეზშედეგობრივი კავშირების გააზრებისა და მაღალი აზროვნებითი პროცესების განვითარებას.

აღნიშნული კურიკულუმი უზრუნველყოფს ბავშვის არჩევანის თავისუფლებას , ინიციატივის წახალისებას და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას , რაც აძლიერებს თვით რეგულაციისა და თვითდაჯერებულობის უნარებს.

სკოლისათვის მზაობას განიხილავს , როგორც უწყვეტ პროცესს, რომელიც იწყება ადრეული ასაკიდან. ჰოლისტური განვითარების შედეგი ხელს უწყობს ბავშვს, თავდაჯერებულობის ზრდას, სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების და სკოლის გარემოში წარმატებულ ინტეგრაციას.

კურიკულუმის მეთოდოლოგია , მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის ხარისხის სტანდარტს, რაც ბავშვის განმავითარებელ, უსაფრთხო პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს ისეთ მიმართულებებსაც როგორცაა ოჯახი და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება , ინკლუზია, მართვა და შეფასება.  
**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

### **3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულება ხელმძღვანელობს შერჩეული კურიკულუმით ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 6 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის“. ეფუძნება თამაშზე დაფუძნებულ, ბავშვზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პარადიგმას, რომელიც აღიარებს თამაშს, როგორც ადრეული განათლების ფუნდამენტურ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. აღნიშნულ კურიკულუმში არ განიხილება მხოლოდ აქტივობად ან დროის ორგანიზების ფორმად,არამედ წარმოდგენილია, როგორც სწავლის, განვითარების, სოციალიზაციის და თვითგამოხატვის ინტეგრირებული და დინამიკური პროცესი.ითვალისწინებს ბავშვს,როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი განვითარების და სწავლის პროცესში.საშუალებას აძლევს ბავშვს,დამოუკიდებლად აღმოაჩინოს , შეისწავლოს და განვითაროს ცოდნა და უნარები. უზრუნველყოფს, ინიციატივის გამოხატვის და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, ბავშვის სოციალურ ინტერაქციაში ჩართულობას,შემოქმედებითი აზროვნების, კითხვებისა და ჰიპოთეზების წამოჭრის წახალისებას,სწავლის პროცესში თვითგამოხატვის მრავალ ფორმას და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

#### 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ საგანმანათლებლო პროცესს განიხილავს, როგორც თანამშრომლობაზე დაფუძნებულ, უწყვეტ ორმხრივ პასუხისმგებლობას, სადაც დაწესებულება ოჯახი და თემი ქმნიან ერთიან საგანმანათლებლო პროცესს, რაც ვლინდება:

- ✓ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში ოჯახის ჩართულობის გათვალისწინებით,
- ✓ თემის წარმომადგენლების პროექტებში და თამაშების სცენარში ჩართულობით,
- ✓ მშობლებთან რეგულარული შეხვედრებით სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით,
- ✓ კვირის თემატურ გეგმებში ოჯახური და თემის გამოცდილების ინტეგრაციით,
- ✓ მშობლებისთვის განკუთვნილი რეკომენდაციებითა და თანამშრომლობის ფორმების დეტალური აღწერით,
- ✓ ხელშემწყობი ღონისძიებები მშობლის განათლებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის ხელშეწყობით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მოიცავს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება ბავშვის მიერ აზრის გამოთქმის, საუბრის, მოსმენის, წიგნებთან ურთიერთობის, ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების თამაშებით, დაკვირვების, დათვალიერების, კვლევის, ექსპერიმენტირების, გამოგონების, შექმნის, მრავალფეროვანი მასალების გამოყენების შესაძლებლობაში. ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება ასაკობრივად შესაფერისი ეფექტური გამოცდილებებით კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისთვის. ითვალისწინებს თითოეული ბავშვის გაცნობას, მათზე თანმიმდევრულ დაკვირვებას ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებების გამოსავლენად, რის საფუძველზეც ხდება პროცესის ინდივიდუალიზაცია და საგანმანათლებლო პრაქტიკის შესაბამისი დაგეგმვა, რათა საგანმანათლებლო პროცესი ასაკთან ერთად ბავშვების ინდივიდუალური განვითარების დონის შესაბამისი იყოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან-6 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, რაც დასტურდება 2026 წლის 2 თებერვლის ახაშნის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომელთა

სამუშაო შეხვედრის N2 ოქმით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2026 წლის 29 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის N43.90260297 ბრძანებით შექმნილი „კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი“, სადაც კურიკულუმის გაზიარების დაინტერესებული მხარეებია მშობლები და დაწესებულების პერსონალი. 2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით N43.90260307 დამტკიცებულ საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილია სექტემბრის თვეში მშობლებისთვის შერჩეული კურიკულუმის გაცნობა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**რეკომენდაცია**

.....

**რჩევა**

.....

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

.....

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N43.9026030001 .კურიკულუმის დამტკიცების შესახებ.
2. 2026 წლის 29 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N43.902602297. კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი.
3. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 6 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის.
4. 2026 წლის 29 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N43.90260298. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
5. 2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N43.90260307. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის შესახებ.
6. 2026 წლის 2 თებერვლის ახაშნის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომელთა სამუშაო შეხვედრის ოქმი N2.



შეფასება:			
<b>2.1. კურიკულუმის დაგეგმვა</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ,, ადრეული განათლების კურიკულუმი,, თამაში” 2-დან 6 წლამდე და შერეული ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: მოკლევადიანი გეგმა , რომელიც ყოველკვირეულად დგება ,რეკომენდებულია გრძელვადიანი გეგმა შეადგინოს წლიურად,კვარტლურად ან წელიწადში ორჯერ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის ბრძანება N43.90260309 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი. მე-3 მუხლის თანახმად, შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებულია ა(ა) იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N43.90260309 ბრძანებით .დამტკიცებული გეგმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ადრეული განათლების კურიკულუმი,, თამაში” 2-დან 6 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. დაწესებულებას დარეგულირებული აქვს „ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის” მიხედვით დამტკიცებული ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N43. 90260309 ბრძანებით.ამ წესის მე-3 მუხლი არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას. დაწესებულებაში გრძელვადიანი გეგმის შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შექმნა და შემადგენლობა დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმით. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს პროცესის ორგანიზებულებაზე, თუმცა არსებული წესით სამუშაო ჯგუფის ფორმირება განსაზღვრულია მენეჯერის ბრძანებით, რაც შეუსაბამოა რეალურ პრაქტიკას, რადგან მენეჯერს არ აქვს შესაბამისი უფლება . შესაბამისად, მიზანშეწონილია წესში განხორციელდეს შესაბამისი კორექტირება , სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მისი შემადგენლობა დადასტურდეს სხდომის ოქმით. საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში გეგმის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

---

---

რჩევა

დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში მესამე მუხლის ნაწილში(საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) განახორციელოს შესაბამისი კორექტირება, სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მისი შემადგენლობა დადასტურდეს ოქმით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

### 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული ა. (ა) ი. პ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის N43.90260309 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მიხედვით დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია;

- ✓ დღის განრიგი;
- ✓ აღმზრდელის პორტფოლიო;
- ✓ სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.

ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო, რომელიც მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები,

- ✓ ბავშვის შეფასების ჩანაწერები;
- ✓ ბავშვის ნამუშევრები.

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტაციით ვლინდება ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დღის განრიგით, რომელიც ჯგუფში მიმდინარე პროცესებს აღწერს თანმიმდევრულად, საგანმანათლებლო პროცესს უფრო ორგანიზებულს და პროგნოზირებადს ხდის და ისე არის აწყობილი, რომ იძლევა ცვლილებების საშუალებას. დღის განრიგი ბავშვებს ეხმარება, რომ მათ დაცულად იგრძნონ თავი და საგანმანათლებლო პერსონალს უწყობს ხელს უკეთესად დაგეგმონ დღე, სწორად გაანაწილონ დრო, მოემზადონ შესაბამისი აქტივობისა თუ გამოწვევისთვის; აღმზრდელის პორტფოლიოთი, რომელიც მოიცავს დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს და რეფლექსურ ჩანაწერებს. 2026 წლის 30 იანვრის N43.30260309 ბრძანებით დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, კვირის ანალიზის გრაფა ივსება კვირის დასრულების შემდეგ აღმზრდელის მიერ განხორციელებული დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე, რის შედეგადაც გამოიკვეთება ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



#### 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული ა(ა) იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის N43.90260309 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ დღის განრიგი;
- ✓ აღმზრდელის პორტფოლიო;
- ✓ სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ✓ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები.

ამავე წესის საფუძველზე საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტაციით ვლინდება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებები:

- ✓ აღმზრდელის პორტფოლიოს საშუალებით, რომელიც მოიცავს დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს და რეფლექსურ ჩანაწერებს.
- ✓ სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს საშუალებით, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.
- ✓ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოების საშუალებით, რომლებიც დაწესებულებაში იწარმოება ყველა ბავშვისთვის ინდივიდუალური მატერიალური ფორმით და მოიცავს:
- ✓ ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს,
- ✓ ბავშვის შეფასების ჩანაწერებს;
- ✓ ბავშვის ნამუშევრებს.

2026 წლის 30 იანვრის N43.90260309 ბრძანებით დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, კვირის გეგმებში ინდივიდუალიზაციის გრაფაში განისაზღვრება ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებები.

დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ ჩანაწერს და იცის, რომ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი დოკუმენტაცია უნდა ასახავდეს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმი 2-დან 6 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის. (სახელმძღვანელოდან თავი მე-4).

ვიზუალური დათვალიერების შედეგად საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში, რაც ვლინდება: ჯგუფის სივრცეებად მოწყობაში .აღმზრდელს აქვს საშუალება ჩართოს სხვადასხვა ტიპის თამაშში. დიდი ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით ასაკობრივ ჯგუფებში წარმოდგენილია ბალი და სახლი , სადაც ბავშვს აქვს შესაძლებლობა საკუთარი ფოტო გადადოს სახლიდან ბაღში და პირიქით.ასევე დაგეგმილი აქვს დიდი ტრანზიციის ხელშეწყობით აქტივობები დ.ა.შ. დაწესებულების წარმოდგენილ მოკლევადიან გეგმის ფორმაში გამოყოფილია ტრანზიციების და რუტინებისთვის გრაფა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმების მიხედვით, დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება. კერძოდ დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი თამაშები, კვლევითი თამაშები, სენსორული თამაშები, სამაგიდო თამაშები, მოძრავი თამაშები, მანიპულაციური თამაშები, კონსტრუქციული თამაშები; თამაშები, რომელიც ბავშვის მიერ არის ინიცირებული, თამაშები, რომელიც უფროსის მიერ არის ინიცირებული; ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს შენობის შიგნით და გარეთ აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება; დაწესებულებაში ჯგუფები და ეზო მოწყობილია სივრცეებად, რაც იძლევა სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალებას, როგორც ჯგუფურად ისე ინდივიდუალურად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი „ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N90260309 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, სადაც გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა.

დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს და მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად და შექმნა ხორციელდება სატენდერო შესყიდვის და პირდაპირი გზით.

დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ძირითადად საგანმანათლებლო რესურსის შექმნა დაგეგმილია ყოველი კალენდარული წლის ბოლო პერიოდში.

ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N90260309 ბრძანებით დამტკიცებულია მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## **2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

.დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაშის“ შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა „ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საადმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026წლის 30 იანვრის N43.90260309 ბრძანებით, სადაც მითითებულია მასალის/რესურსის დასახელება, ასაკი, რაოდენობა მრავალგვარობისა და მრავალფეროვნების

გათვალისწინებით. დაწესებულებაში საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა ემყარება მოქმედ კურიკულუმის სპეციფიკას. წარმოდგენილი მინიმალური რესურსის ნუსხა არ უზრუნველყოფს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილებას, რაც მიუთითებს რესურსის არასაკმარის უზრუნველყოფას.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას (100) და რესურსების ეტაპობრივ შექმნას. გეგმის განხორციელების ეტაპებია: ა) გაერთიანების მიმართვა რესურსების შექმნის მიზნით ბ) სუბსიდიის ზრდის მოთხოვნით მიმართვა და ბიუჯეტში ცვლილების განხორციელება გ) ტენდერის გამოცხადება და შექმნა პასუხისმგებელი პირი: გაერთიანების დირექტორი. შესრულების ვადა: მინიმალური რესურსის უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს 12 თვის ვადაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**რეკომენდაცია**

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება გეგმით განსაზღვრულ ვადებში (უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსის შექმნა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით).

**რჩევა**

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

**2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას**

**1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ადრეული განათლების კურიკულუმი, „თამაში“ განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: ორგანიზებული, სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, უმეტესად ხის

ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით და მყუდრო ეზო, რომელიც ასევე სხვადასხვა სივრცეებად არის დაყოფილი და ბავშვებს მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარი თამაშების შესაძლებლობებს უქმნის. ძლიერი უამინდობის შემთხვევაში ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, ბალის შენობაში დახარჯონ ენერჯია: ირბინონ, იხტუნონ, იძრომიან. ამისათვის მათ აქვთ დარბაზი, სადაც სპორტული ინვენტარის გარდა, უბრალოდ, თავისუფლად სარბენი სივრცე აქვთ. დარბაზშივე არის შესაძლებელი სხვადასხვა ტიპის აქტივობის ჩატარება, იქნება ეს მუსიკა, დრამა, ცეკვა თუ იატაკზე ხატვა.

ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებაში არსებული ჯგუფები ფიზიკური სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება ჯგუფური ოთახების სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად დაყოფაში, რაც ბავშვებს სხვადასხვა უნარის განვითარების საშუალებას მისცემს. ჯგუფების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა ოთახის დაყოფა შემდეგ ცენტრებად: წრეზე შეხვედრის, დრამატული, კონსტრუქციული, ხელოვნების, სამაგიდო თამაშების, მეცნიერების, სენსორული, წიგნიერების, წყნარი სივრცე. თაროები ღია და ბავშვისთვის ხელმისაწვდომი. თაროებიც აღნიშნულია მინიშნებებით, რომ ბავშვს გაუადვილდეს, როგორც ნივთების მოძებნა ასევე მათი დახარისხება. გარემო გამდიდრებულია ბუნებრივი და სხვადასხვა ფაქტურის მასალებით.

დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება ეზოს დაყოფაში სხვადასხვა ფუნქციურ სივრცეებად: დრამატული, მოძრავი, სენსორული (საქვიშე), მეცნიერული, სათბური, ბოსტანი (სრულად აღჭურვილი სამუშაო იარაღებით) სივრცე განმარტობისთვის, სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

**2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად:

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, დარბაზში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება თამაშზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით, სათამაშო ცენტრების არსებობით, ბავშვის ხუთივე სფეროს განვითარების შესაძლებლობით, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, როგორც ჯგუფში ასევე ეზოში ბავშვისთვის თავისუფლად ხელმისაწვდომობით, განსაზღვრულია მრავალფეროვნება, დარბაზი უზრუნველყოფს მსხვილი მოტორიკის განმავითარებელი თამაშებისა და ფიზიკური განვითარების რესურსებს. როგორც სათამაშო სივრცეები, ასევე რესურსებიც ფუნქციურად განსხვავდება ერთმანეთისგან. სათამაშო სივრცეები შევსებულია ფუნქციურად და შინაარსობრივად შესაბამისი რესურსით. ბავშვებისთვის ფიზიკური გარემო ფუნქციური და პროგნოზირებადია. ჯგუფური ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა. კედლებზე განთავსებული მასალა, ბავშვის ნამუშევრები ბავშვის სიმაღლეზეა. კედლებზე განთავსებული ვიზუალური მინიშნებები არის სურათი თანდართული ტექსტით მაგ.: დღის ვიზუალური განრიგი. ჯგუფურ ოთახებში ცენტრები შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით არის აღჭურვილი და ბავშვის სიმაღლეზეა მოთავსებული. ავეჯი არის ნეიტრალური ფერის, ხის ფაქტურის მსგავსი, ღია თაროებით, ბავშვის სიმაღლის და ხელმისაწვდომი. ჯგუფებში არის მეორადი, ბუნებრივი, ქარხნული და ხელნაკეთი რესურსი. ჯგუფში საგანმანათლებლო რესურსის ორგანიზებისთვის გამოყენებული არის კონტეინერები და აქვს ტექსტური მიმანიშნებლები. მაგ.: სენსორულ და მეცნიერების ცენტრში კონტეინერებში განთავსებულია : ლობიო, მანი, მაკარონი, ფქვილი, სოდა, მარილი, და სხვა. ჯგუფებში და ეზოში არის სივრცე განმარტოებისთვის.

დაწესებულების ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია. არის სივრცეების მინიშნებები, დრამატული სივრცე სრულად აღჭურვილი , მუსიკალური სივრცე, ეზოში განთავსებულია ბალანსის აღჭურვილობა, საცოცი/ასამრომი და გასამრომი კონსტრუქციები, სკამები/დასაჯდომი და მაგიდა: საქვიშე, სასრიალო, მზისგან და წვიმისგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი . საშუალება/საჩრდილობელი. აღნიშნული სივრცეები სრულად არის დაკომპლექტებული შესაბამისი რესურსით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



**3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტობის შესაძლებლობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახების სივრცე მოწყობილია ისე, რომ ითვალისწინებს ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის აუცილებელი პირობას მრავალფეროვან თამაშებში ჩართვის საშუალება. ამ პირობის შესრულებას ხელს უწყობს ჯგუფური ოთახის ფიზიკური გარემო და დროითი გარემო. აღნიშნული დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში მყუდრო გარემოა, ბავშვებს აქვთ განმარტობისა და დასვენების შესაძლებლობა (წყნარი სივრცე, წიგნიერების ცენტრი), ასევე ბავშვს აქვს აქტიურ ( კუბურების, დრამატული, სენსორული, მეცნიერების ცენტრი) და პასიურ (სამაგიდო, წიგნიერების ცენტრი) მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. ბაღში არის ასევე დარბაზი, რაც დადასტურდა, ფიზიკური დათვალიერებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა**

**1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება, შესაბამისი მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი/შეფასება ხარისხის ციკლის დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ნაწილია. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ბავშვის/მთლიანი ჯგუფის ინტერესებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებას, რაც ავტომატურად ხელს უწყობს, როგორც კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისა და ღირებულებების, ასევე სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის №43.90260309 ბრძანებით დამტკიცებულია შეფასებისა და დაკვირვების ფორმები. დაწესებულება მოქმედებს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის” მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი სისტემით, რაც მდგომარეობს შემდეგში, დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

- ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;
- ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას ყველა სფეროში;
- გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში .

ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახის ჩართულობით. საგანმანათლებლო პერსონალთან გასაუბრების დროს დადასტურდა ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის ფლობა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

**2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026წლის 30 იანვრის N/43.90260309 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

- ✓ ბავშვის ინტერესების გამოვლენას;
- ✓ ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;
- ✓ ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

ამავე წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად დაწესებულებაში ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახის ჩართულობით, ხოლო მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

შეფასება ემსახურება:

- ✓ თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას – საგანმანათლებლო პერსონალის მხრიდან უკეთესად გაცნობა ბავშვების ინტერესის სფეროების და საყვარელ საქმიანობების, რაც ისეთი გამოცდილებების დაგეგმვის საშუალებას იძლევა, რომელშიც ბავშვები მეტი ხალისით ჩაერთვებიან;
- ✓ თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას – ბავშვების საჭიროებების ცოდნას, რაც პრაქტიკოსებს ეხმარება საგანმანათლებლო პროცესის იმგვარად დაგეგმვასა და წარმართვაში, რომ მოხდეს ამ საჭიროებების დაკმაყოფილება.
- ✓ თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას – პროგრესის შესახებ ინფორმაციის ფლობას, რაც ყველაზე კარგ წარმოდგენას აძლევს საგანმანათლებლო პერსონალს იმის შესახებ თუ რამდენად ეფექტურია მომსახურება და რამდენად ხდება კურიკულუმისა თუ სხვა დასახული მიზნების მიღწევა. ბავშვის პროგრესის დასანახად მნიშვნელოვანია არსებობდეს მტკიცებულებები, რომელიც ბავშვის განვითარების შედეგების დროში შედარების საშუალებას იძლევა.

საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ მნიშვნელოვანია ბავშვთა ინდივიდუალური ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება, მათი აქტივობებში ჩართვა და პროგრესის შეფასება დაკვირვებისა და შესაბამისი ჩანაწერების საფუძველზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასების გამოყენება, შეფასების შედეგების გაანალიზება, გამოყენება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის/მოდიფიცირებისთვის, ვლინდება „ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N43.90260309 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-8 მუხლის, მე-10 პუნქტის შესაბამისად ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

- ✓ მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ✓ გრძელვადიანი გეგმების შედგენა /კორექტირების გზით;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- ✓ დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

ბავშვებზე დაკვირვების და შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესის გაანალიზება და საჭიროებისამებრ მისი მოდიფიცირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას



**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

ბავშვის შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი, რაც დასტურდება ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N43.90260309 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-9 მუხლის შესაბამისად ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, კერძოდ:

- ✓ დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის /კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას;
- ✓ ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან /კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ აღმზრდელ-პედაგოგს, სწორად აქვს გააზრებული ოჯახის ჩართულობის მნიშვნელობა ბავშვის შეფასების პროცესში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.**

**რეკომენდაცია**

.....

.....

.....

.....

.....

.....

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N43.90260309 . საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების წესის შესახებ.

2.2026 წლის 30 იანვრის ა(ა) იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების ბრძანება N43.90260309 გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმის ფორმების შესახებ.

3.გრძელვადიან გეგმის ჯგუფის შექმნის ოქმი N2



- 4.2026 31 იანვრის ა(ა) იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების ბრძანება N43.9026031001.ბავშვთა ზღვრული რაოდენობის წესის შესახებ.
- 5.2026 წლის 30 იანვრის ა(ა) იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N43.90260309.მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა.
- 6.შესაბამისობის გეგმა.
- 7.2026 წლის 30 იანვრის ა(ა) იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N43.90260309.ბავშვის განვითარების და დაკვირვების ფორმების დამტკიცების შესახებ.
- 8.ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
<b>2.2. კურიკულუმის განხორციელება</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

### 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

#### 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N43.90260309 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი” –ს მე-11 მუხლის შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება, რომლის მიხედვით ეს პროცესი ხორციელდება საქმიანობის სისტემატიური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება:

- ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების ძლიერ მხარეებს;
- ბ)გამოწვევებს, რომლებიც საჭირობენ გაუმჯობესებას;



გ) რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს /ასპექტებს/კომპონენტებს:

- ✓ პროცესის დაგეგმვა
- ✓ განხორციელებული აქტივობები
- ✓ რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა და თამაშებისათვის გამოყოფილი დროის მოცულობა;
- ✓ ბავშვებზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება
- ✓ გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება)
- ✓ აღმზრდელის სტრატეგიები

ამავე წესის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პროცესის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელი წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების, საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე და მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია პერიოდულად (წელიწადში ერთხელ) ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელი დაწესებულებების გაერთიანების 2026 წლის 29 იანვრის ბრძანებით №43.90260297 დაკვირვებისა და შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ✓ საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;
- ✓ ფიზიკური გარემო შეფასებას;
- ✓ მშობლების უკუკავშირს;
- ✓ პერსონალის თვითრეფლექსიას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოადგენილი „ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N43.90260309 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-11 მუხლის შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორცილდება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ მთელის წლის მანძილზე ბავშვებზე დაკვირვების, მათი პორტფოლიოების ,საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიისა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე. მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული იმფორმაცია პერიოდულად (წელიწადში ერთხელ) გაერთიანების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული შეფასების გუნდის მიერ ანალიზდება და ანალიზის პროცესში გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება შეფასების გუნდის მიერ მომზადებულ ანგარიშში. ანალიზის შედეგების შესაბამისად შეიძლება განხორციელდეს, როგორც დოკუმენტების ფორმალური გეგმების ფორმებთან, სტრუქტურასთან, შეფასების ინსტრუმენტების ფორმებთან, პორტფოლიოს წარმოების სახის შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილება, ისე შინაარსობრივი აქტივობების შინაარსის, შეფასების ინსტრუმენტების შეცვლასთან დაკავშირებული ცვლილება. აღმზრდელის გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება იცნობს აღნიშნულ წესს და აცნობერებს გამომდინარე ვალდებულებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N43.90260309. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის შესახებ.
2. ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების 2026 წლის 29 იანვრის ბრძანებით N43.90260297. დაკვირვებისა და შეფასების ინსტრუმენტი.
3. ინტერვიუს შედეგები.

<b>შეფასება:</b>			
<b>2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

### 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

#### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

##### 3.1.1. დაწესებულება ღია ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

#### 1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, დამტკიცებული ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების ბრძანებით N43.90260307. მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დაწესებულება წინასწარ გეგმავს აქტივობებს და განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კერძოდ: მუხლი მე-5 საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა და პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. 1. საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვისთვის ახაშნის საბავშვო ბაგა-ბაღი იყენებს ამ წესის დანართი N1-ით განსაზღვრულ ცხრილს. ამავე ცხრილში განისაზღვრება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული.

2. არაგეგმიური აქტივობები ტარდება საჭიროებიდან გამომდინარე და მისი ასახვა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ცხრილში არ ხორციელდება. მეთოდოლოგიაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სამიზნე აუდიტორია კერძოდ: მუხლი 3 სამიზნე აუდიტორიის შერჩევა. ახაშნის საბავშვო ბაგა-ბაღის სამიზნე აუდიტორია იყოფა შიდა და გარე აუდიტორიად. შიდა აუდიტორიას განეკუთვნება: ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღების, ბაგა-ბაღების ადმინისტრაცია, საგანმანათლებლო პერსონალი, დამხმარე პერსონალი. გარე აუდიტორიას განეკუთვნება: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ადგილობრივი



თემის/საზოგადოების წარმომადგენელი, სფეროში მოღვაწე კოლეგები, მუნიციპალიტეტის მერია, დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა. დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, სადაც დაგეგმილი აქტივობები მოიცავს თემთან და ოჯახთან/ კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობას (საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის დანართი N1)

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....  
.....

რჩევა

.....  
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....

**2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება წახალისებს მიზნით მშობლებთან/კანონიერი წარმომადგენლებთან ერთად დაგეგმავს სხვადასხვა აქტივობებს; აღმზრდელთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღმზრდელი წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში. საბავშვო ბაღს აქვს თემის წარმომადგენლების მიწვევა, პროფესიების წარდგენა, საგანმანათლებლო რესურსის მოძიებაში მათი ჩართულობა, მათთან ერთად აქტივობების დაგეგმვა და ა.შ. (აღნიშნული ასევე იკითხება საკომუნიკაციო გეგმაში). მათ აქვთ შედგენილი მშობლის კითხვარი, რითაც ხდება მიღებული უკუკავშირის ანალიზი. აღმზრდელ-პედაგოგმა ინტერვიუზე ასევე აღნიშნა, რომ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გააკეთებს ანალიზს, რა აქტივობებში გამოიკვეთა მშობელთა ჩართულობა უფრო აქტიურად და ამის მიხედვით მოიფიქრებს მათი ჩართულობისთვის სხვადასხვა გზებს. თემის ჩართულობისთვის აქტიურად იყენებს თემში არსებულ ადამიანურ რესურსს, მოიწვევს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ასევე განახორციელებს ვიზიტს ახლომდებარე დაწესებულებებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

### 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საკომუნიკაციო გეგმის წესაში დაწესებულებას იდენფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები.შერჩეული მეთოდები არის მრავალფეროვანი მაგალითად:

- ✓ პირისპირ შეხვედრები;
- ✓ საინფორმაციო დაფები;
- ✓ დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმები (ფეისბუქი);
- ✓ სოციალური მედიის დახურული ჯგუფები (ფეისბუქ გვერდის დახურული ჯგუფი მესენჯერი).

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა,რომ ფლობენ ინფორმაციას საკომუნიკაციო არხების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....



.....  
 .....  
 არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
 .....  
 .....

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორის ბრძანება N43.90260307., „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“.
2. ინტერვიუს შედეგები.

<b>შეფასება:</b>			
<b>3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

**3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება**

**3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას**

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა (დანართი N1), რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკის შესახებ. ბავშვთა უფლებების თემატიკა გეგმაში არ არის

გათვალისწინებული. საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს აქტივობებს, კერძოდ, საკონსულტაციო შეხვედრებს სხვადასხვა თემაზე (ბავშვთა განვითარების ასაკობრივი მახასიათებლები, ინკლუზიური განათლება), რაც დადასტურდა საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

**რეკომენდაცია**

დაწესებულებამ საკომუნიკაციო გეგმაში უნდა შეიტანოს ბავშვთა უფლებების თემატიკა.

**რჩევა**

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას: საკომუნიკაციო გეგმაში შეიტანს ბავშვთა უფლებების თემატიკას. აქტივობის დაწყების სავარაუდო თარიღი: 2026 წლის მაისი აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი 2027 წლის თებერვალი. შეუსაბამისობის აღმოფხვრის ვადა: 9 თვე. პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული: გაერთიანების დირექტორი, ბაღის მენეჯერი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორის N43.90260309 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-თ დასტურდება ბავშვის შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობა. კერძოდ, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში, ხოლო მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დაწესებულებაში ბავშვის შეფასებას ანხორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახთან ერთად. ამასთან, მე-9 მუხლის შესაბამისად საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, კერძოდ დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის /კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას და ბავშვის შეფასების შედეგების განხილვას ბავშვის მშობელთან კანონიერ წარმომადგენელთან ინდივიდუალურად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ადრეული განათლების კურიკულუმში, თამაში“ გულისხმობს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება დაწესებულების მხრიდან თითოეული ბავშვის ოჯახსა და სხვა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის საფუძველზე დაგეგმილი და განხორციელებული გასვლითი საქმიანობებით სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებსა (მაგ.: მუზეუმში, ზოოპარკში, ქარხანაში, გალერეაში, თეატრში, სკოლაში, საკონცერტო დარბაზებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ა. შ.) და ბუნებაში (ტყეში, ბოტანიკურ ბაღში, პარკში და ა. შ.)

დაწესებულებამ წარმოადგინა „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით N43. 90260307 აღნიშნული წესით განსაზღვრულია საკომუნიკაციო შიდა და გარე აუდიტორია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, კერძოდ, აღნიშნული ვლინდება საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქტივობით. მშობელთა გამოკითხვა და უკუკავშირის მიღების მექანიზმის გაუმჯობესება, როგორცაა: კითხვარები, წინადადებების ყუთი და ა.შ. დაწესებულება ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების, შეფასებასა და შემდგომ განვითარებას არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი (მუხლი 11. საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება). ოჯახთან და თემთან განხორციელებული აქტივობები საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დაწესებულებაში კი მეთოდოლოგიის მიხედვით, მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება:

- ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერ მხარეებს;
- ბ) გამოწვევებსა და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას;
- დ) რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისთვის;

საგანმანათლებლო პერსონალმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ ოჯახთან და თემთან დაგეგმილი აქტივობების შეფასება მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდება და შეფასების შემდეგ საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელებს ცვლილებების შეტანას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N43. 90260307 „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“

2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N43.90260309. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესის შესახებ.

3.ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
<b>3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

**4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა<sup>4</sup>**

**4.1. პერსონალის მართვა და განვითარება**

**4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სოფელ ახაშენის საბავშვო ბაგა-ბაღი შედის ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანების შემადგენლობაში. ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შეიქმნა 2025 წლის 19 სექტემბერს და დასტურდება ოქმით N 1. სოფელ ახაშენის დასაქმებულ პერსონალთა რაოდენობა გაწერილია საშტატო ნუსხით, რომელსაც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტი.

<sup>4</sup> აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

1 მენეჯერი 1.0 სამტატო განაკვეთი, 1 მენეჯერის თანაშემწე 1.0 სამტატო განაკვეთი , 1 საწყობის კოორდინატორი 1.0 სამტატო განაკვეთი , 3 აღმზრდელი 3.0 სამტატო განაკვეთი თითოეულზე 1.0 სამტატო განაკვეთი, 3 აღმზრდელის თანაშემწე 3 .0 სამტატო განაკვეთი თითოეულზე 1.0 სამტატო განაკვეთი , 1 სპეციალური პედაგოგი 0.75 სამტატო განაკვეთი , 1 ექთანი 0.75 სამტატო განაკვეთი, , 1 მზარეული 1.0 სამტატო განაკვეთი, 1 მზარეულის თანაშემწე 0.75 სამტატო განაკვეთი, , 2 დამხმარე ძიძა 1.5 სამტატო განაკვეთი 0.75 და 0.75 სამტატო განაკვეთი თითოეულზე, ,1 დამხმარე მუშა 1.0 სამტატო განაკვეთი და 1 მეეზოვე-დარაჯი 1.0 სამტატო განაკვეთი, 1 მუსიკის პედაგოგი 0.75 სამტატო

2 გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელი 0.5 სამტატო განაკვეთი თითოეულზე განსაზღვრული .0.25 სამტატო განაკვეთი .წარმოდგენილი სასტატო ნუსხა არ ედრება ბაღის მიერ წარმოდგენილ ორგანოგრამას .უფრო კონკრეტულად ორგანოგრამაზე მითითებულია 4 აღმზრდელი და 4 აღმზრდელის თანაშემწე სამტატო ნუსხაში კი 3 აღმზრდელი და 3 აღმზრდელის თანაშემწე.სამტატო ნუსხაში განსაზღვრულია გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელი 0.5 შტატი რაც ორგანოგრამაზე არ არის . სოფელ ახაშენის სამუშაო გრაფიკი განისაზღვრება 09.00-16.00 საათამდე . მშობლების მომართვის მიზნების საფუძველზე გასაზღვრულია გახანგრძლივებული ჯგუფის დაკომპლექტება , რომლის სამუშაო პერიოდია 16.00-18 00 საათამდე რა დროსაც საბავშვო ბაგა- ბაღში რჩებიან მხოლოდ გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელები. ბაღის სამუშაო დროების მარეგულირებელი დოკუმენტი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა . მხოლოდ წარმოადგინა ა(ა)ი.პ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელი დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 18 სექტემბრის ბ 43.90242623 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელი დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომლების სამუშაო დროის (საათობრივი დატვირთვის ) განსაზღვრის თაობაზე . წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელი დაწესებულებებში დასაქმებული თანამშრომლების სამუშაო და დასვენების დროები.

ბაგა-ბაღში პერსონალი დაკომპლექტებულია იმგარად, რომ სასწავლო-სააღმზრდელი პროცესის დროს გათვალისწინებულია საგანმანათლებლო მეთოდოლოგია(პასუხისმგებელი პირი -უფროსი აღმზრდელი) ბაგა- ბაღს არ ჰყავს დამლაგებელი სამტატო განრიგისა და ორგანოგრამის მიხედვით და დამლაგებლის მოვალეობას ასრულებენ დამხმარე მუშა და დამხმარე ძიძა. ფუნქცია მოვალეობების შეთავსების დოკუმენტი ბაღმა ვერ წარმოადგინა . გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელი დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N124 ბრძანებით განსაზღვრულია გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელი დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა სამსახურეობრივი ფუნქციები.აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია მენეჯერის ,მენეჯერის თანაშემწის ,უფროსი აღმზრდელის,აღმზრდელის ,გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელის ,ლოგოპედის ,სპეციალური განათლების პედაგოგის, ექთნის, აღმზრდელის თანაშემწის, გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელის თანაშემწის ,მზარეულის ,მზარეულის თანაშემწის ,მეეზოვე დარაჯის ფუნქციები.დოკუმენტში ასევე მითითებულია , რომ დამატებითი პერსონალი როგორცაა საწყობის კოორდინატორი , დამხმარე ძიძა , დამხმარე მუშა, და.შ ექვემდებარებიან მენეჯერს , მენეჯერის თანაშემწეს და ბაგა-ბაღის ექთანს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს კი უზრუნველყოფს ხელშეკრულება , რომლის დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე პასუხისმგებლები არიან ამ პოზიციებზე დასაქმებულები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში სამუშაოს აღწერილობები არ იძებნება. შესაბამისად ბუნდოვანია საკითხი , დამხმარე ძიძა და დამხმარე მუშას რატომ ევალებათ ტერიტორიის დასუფთავება . დაწესებულებას ასევე არ ჰყავს ფსიქოლოგი სამტატო ნუსხის მიხედვით ბაგა -ბაღში კონტროლდება საკვები პროდუქტის ხარისხი და ნორმები, დაცულია საქმისწარმოების ნორმები, დანერგილია ელ. საქმისწარმოება,

ადგილზე ინახება პერსონალის და აღსაზრდელების პირადი საქმეები, (პასუხისმგებელი პირი-მენეჯერი) დაწესებულება უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი განათლების მიწოდებას ყველა ბავშვისთვის (პასუხისმგებელი პირი- სპეც. მასწავლებელი) დოკუმენტების შესწავლითა და ინტერვიუებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად არ ჰყავს საკმარისი რაოდენობის პერსონალი, კერძოდ არ არის დაცული საგანმანათლებლო პერსონალის თანაფარდობა, რომელიც დადგენილია “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” კანონის 22-ე მუხლში, ასევე, არ არის დაცული დაწესებულების მიერ დამტკიცებულ “ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის” მე-4 მუხლით განსაზღვრული წესი-“აღმზრდელის რაოდენობის თანაფარდობით ბავშვთა არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან”, აღნიშნული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის 24 თვიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს: 1 მიმართვა გაერთიანების დირექტორს 2 ფინანსების მოძიება აღმზრდელთა ანაზღაურებისთვის 3 კონკურსის გამოცხადება 4 შერჩევა და ხელშეკრულების გაფორმება 12 აღმზრდელთან. ამასთან დაწესებულებას დარეგულირებული არ აქვს საგანმანათლებლო პერსონალის დროებით მოვალეობის შეუსრულებლობის დროს სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების საკითხი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნიდან გამომდინარე ბაღმა უზრუნველყოს დაწესებულების პერსონალის იმგვარად დაკომპლექტება , რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და გაითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. მოხდეს თითოეული თანამშრომლის ფუნქცია- მოვალეობის გაწერა შესაბამის დოკუმენტში . დაწესებულებამ მოიყვანოს შესაბამისობაში საგანმანათლებლო პერსონალის თანაფარდობა, რომელიც დადგენილია “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლში, ასევე დაიცვას დაწესებულების მიერ დამტკიცებულ “ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის” მე-4 მუხლით განსაზღვრული წესი-“აღმზრდელის რაოდენობის თანაფარდობით ბავშვთა არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან” წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადებში. ამასთან დაწესებულებამ დაარეგულიროს საგანმანათლებლო პერსონალის დროებით მოვალეობის შეუსრულებლობის დროს სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების საკითხი.

### რჩევა

.....  
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის განახლებული გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა, ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის იმგვარად დაკომპლექტებას, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და გაითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. მოხდება თითოეული თანამშრომლის ფუნქცია- მოვალეობის გაწერა შესაბამის დოკუმენტში. დაწესებულება მოიყვანს შესაბამისობაში საგანმანათლებლო პერსონალის თანაფარდობას, რომელიც დადგენილია “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” საქართველოს კანონის

22-ე მუხლში, ასევე დაიცავს დაწესებულების მიერ დამტკიცებულ “ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის” მე-4 მუხლით განსაზღვრული წესი-“აღმზრდელის რაოდენობის თანაფარდობით ბავშვთა არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან” წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ვადებში. ამასთან დაწესებულება დაარეგულირებს საგანმანათლებლო პერსონალის დროებით მოვალეობის შეუსრულებლობის დროს სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების საკითხს. აქტივობის დაწყების სავარაუდო თარიღი: 2026 მაისი აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი 2027 წლის თებერვალი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა: 9 თვე. პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული: გაერთიანების დირექტორი, ბალის მენეჯერი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## **2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრუქტურა-ორგანოგრამა, რომელიც ასახავს თანამდებობრივ დაქვემდებარებას, ა.(ა)ი.პ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის ბ 43.90260472 ბრძანებით დაწესებულების მენეჯერი განსაზღვრულია საბავშვო ბაგა-ბაღში ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელ პირად.ორგანოგრამის მიხედვით მენეჯერს ექვემდებარება უფროსი აღმზრდელი, მენეჯერის თანაშემწე და ექთანი. უფროს აღმზრდელს ექვემდებარება საგანმანათლებლო პერსონალი, ექთანს ექვემდებარება მზარეული, მზარეულს - მზარეულის თანაშემწე, მზარეულის თანაშემწეს - მზარეულის დამხმარე. მენეჯერის თანაშემწე ასრულებს მენეჯერის დავალებებს და ექვემდებარება მეუზოვე და დამხმარე მუშა.

.წარმოდგენილი სასტატო ნუსხა არ ედრება ბალის მიერ წარმოდგენილ ორგანოგრამას .უფრო კონკრეტულად ორგანოგრამაზე მითითებულია 4 აღმზრდელი და 4 აღმზრდელის თანაშემწე საშტატო ნუსხაში კი 3 აღმზრდელი და 3 აღმზრდელის თანაშემწე. საშტატო ნუსხაში გათვალისწინებულია 2 გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელი 0.5 შტატი, რაც ორგანოგრამაზე არაა დატანილი. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ბაგა-ბაღში პერსონალი დაკომპლექტებულია იმგვარად, რომ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის დროს გათვალისწინებულია საგანმანათლებლო მეთოდოლოგია (პასუხისმგებელი პირი უფროსი აღმზრდელი), ბაგა- ბაღს არ ჰყავს დამლაგებელი საშტატო განრიგისა და ორგანოგრამის მიხედვით და დამლაგებლის მოვალეობას ასრულებენ დამხმარე მუშა და დამხმარე ძიძა. ფუნქცია მოვალეობების შეთავსების დოკუმენტი ბაღმა ვერ წარმოადგინა. გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების

გაერთიანების დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N124 ბრძანებით განსაზღვრულია გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა სამსახურეობრივი ფუნქციები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია მენეჯერის, მენეჯერის თანაშემწის, უფროსი აღმზრდელის, აღმზრდელის, გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელის, ლოგოპედის, სპეციალური განათლების პედაგოგის, ექთნის, აღმზრდელის თანაშემწის, გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელის თანაშემწის, მზარეულის, მზარეულის თანაშემწის, მეზოვე დარაჯის ფუნქციები. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ დამატებითი პერსონალი როგორცაა საწყობის კოორდინატორი, დამხმარე ძიძა, დამხმარე მუშა, და.ა.შ ექვემდებარებიან მენეჯერს, მენეჯერის თანაშემწეს და ბაგა-ბაღის ექთანს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს კი უზრუნველყოფს ხელშეკრულება, რომლის დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე პასუხისმგებლები არიან ამ პოზიციებზე დასაქმებულები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში სამუშაოს აღწერილობები არ იძებნება, ინტერვიუს მიხედვით დადგინდა, რომ ფუნქცია-მოვალეობები სიტყვიერად აქვთ დაკისრებული.

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 05 თებერვლის ბ43.9026036001 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში არის აღნიშნული, რომ ახალ თანამშრომლებს ეცნობათ „მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ“. დოკუმენტს თან დანართების სახით თან ახლავს – თანამშრომლის პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევა, კონკურსანტის შეფასების ფორმა გასაუბრების ეტაპზე, სამუშაოს აღწერის ფორმა. აღნიშნული დოკუმენტი გაზიარებულია თანამშრომლებთან, რაც დასტურდება ინტერვიუებით.

ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორის მიერ 2026 წლის 11 თებერვლის №ბ.43.90260422 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების შინაგანაწესი.

შინაგანაწესით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და შეწყვეტა, შრომითი ურთიერთობების პრინციპები, აუცილებლად წარმოსადგენი დოკუმენტაცია, დანიშვნის ბრძანების მონაცემები, დამსაქმებლის და დასაქმებულის ძირითადი ვალდებულებები, დასაქმებულის უფლებამოსილებები, მივლინება, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შესვენება და შვებულება, ანაზღაურება, წახალისება და დისციპლინარული პასუხისმგებლობა, შრომის დაცვის ზოგადი ინსტრუქციები. დოკუმენტის გაცნობა თანამშრომლებისათვის დასტურდება მათივე ხელმოწერებით არსებული დოკუმენტების მიუხედავად ვერ დგინდება მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქცია მოვალეობები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნიდან გამომდინარე ბაღმა უზრუნველყოს თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობის დეტალური გაწერა შესაბამის დოკუმენტში.



რჩევა

---

---

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის განახლებული გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად . დაწესებულება უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობის დეტალურ გაწერას შესაბამის დოკუმენტში. აქტივობის დაწყების სავარაუდო თარიღი: 2026 მაისი აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი 2027 წლის თებერვალი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა: 9 თვე. პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული: გაერთიანების დირექტორი, ბალის მენჯერი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და დამტკიცებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით. საგანმანათლებლო პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N478 დადგენილებასთან. დაწესებულებას დასაქმებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ჩანაწერი გაკეთებული აქვს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” მე-17 მუხლში. გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2018 წლის 08 იანვრის N3 დამტკიცებული დოკუმენტი – გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებში დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის თაობაზე , სადაც განსაზღვრულია დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის პროფესიული მახასიათებლებს, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესს, უწყვეტ პროფესიულ განათლებას. პერსონალი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება პირადი საქმეებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფიებულია**

**რეკომენდაცია**

---

---

რჩევა

---

---



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

**4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აღმზრდელს, ექთანს და ბალის მენეჯერს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია და გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგ მოდული, რაც დასტურდება შესაბამისი სერთიფიკატით, თუმცა სერთიფიკატზე დატანილი არ არის თარიღი, რის გამოც ვერ ხერხდება განახლების საჭიროების აუცილებლობა, თანამშრომელთა ნაწილს არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას შემუშვებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის 12 თვიანი გეგმა .

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, დაწესებულებამ მოახდინოს შეუსაბამობის აღმოფხვრა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

**4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი**

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცედურები განსაზღვრულია ა(ა)ი.პ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ( მოვალეობის შემსრულებელი) N 843. 9026036001 ბრძანებით დამტკიცებული,, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით”, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

რეგულირების სფერო , წესის მიზანი და გამოყენების სფერო ,წესის ამოცანები, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, დაწესებულების ადამიანური რესურსი, ორგანიზება/დაგეგმვის პროცესი, დაწესებულების სტრუქტურა , სამუშაო აღწერილობა, კადრების მოზიდვა და შერჩევა, ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი , დაწესებულების პერსონალის შერჩევა, ღია კონკურსი, კომისიის შექმნის წესი, კონკურსის ეტაპები, კონკურსის ჩაშლის/შეწყვეტის საფუძვლები, საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის მუშაობა, შიდა (დახურული) კონკურსის, პირდაპირი გზით დანიშვნა, პერსონალის კვალიფიკაცია , ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია, შესრულებული სამუშაოს მართვა, შესრულებული სამუშაოს შეფასება, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ დოკუმენტები, თანამშრომელთა პირად საქმეები, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქრთველოს შრომის კოდექსის” შესაბამისად დაწესებულებას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, რომელსაც იცნობს დაწესებულების პერსონალი. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომელთა სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების დოკუმენტი, დაწესებულების ორგანოგრამა, სადაც ასახულია დასაქმებულთა თანამდებობრივი იერარქიას და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები. წარმოდგენილი დოკუმენტების (ორგანოგრამა, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, შინაგანაწესი და გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შორის სამსახურეობრივი ფუნქციების გადანაწილების შესახებ დოკუმენტი) ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად. შინაგანაწესით დაწესებულება არეგულირებს შიდა წესებს და დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს მკაფიოდ გაწერილი და დამტკიცებული შიდა რეგულაციები (პერსონალის მართვის დოკუმენტი, შინაგანაწესი, სამუშაო აღწერილობები), რომლებიც, ეფუძნება და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესის შემადგენელი ნაწილებია: 1. მოქმედების სფერო; 2. შინაგანაწესის მიზნები; 3. შრომითი ურთიერთობის პრინციპები; 4. თანამშრომელთა მიერ შინაგანაწესის შესრულება; 5. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, დასაქმებულის დანიშვნა, თანამდებობრივი გადაადგილება; 6. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები ; 7. სამსახურეობრივი მივლინება, სამუშაო დრო და დასვენების დრო; 8. შევებულება; 9. შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა; 10. დასაქმებულის შრომის ანაზღაურებისა და წახალისების წესი; 11. დისციპლინური პასუხისმგებლობა; 12. შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები; 13. დავის განხილვა; 14. დასკვნითი დებულებები

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტისას შესწავლილ იქნა ყველა თანამშრომლის ხელშეკრულება და პირადი საქმე . დაწესებულებას საგანმანათლებლო პერსონალთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს მხოლოდ სამუშაო დროის საკონტაქტო საათებს და არ არის გათვალისწინებული არასაკონტაქტო საათები და მის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები. დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის თორმეტთვიანი გეგმა, აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია .

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდირებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული 12 თვიან პერიოდში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების პრაქტიკების განსაზღვრისათვის იხელმძღვანელოს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით” , შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტებითა და “საქართველოს შრომის კოდექსის” მე-14 მუხლით

რჩევა

დაწესებულებამ პერსონალის შრომით ხელშეკრულებაში შეიტანოს დასაქმებულის პირადი მონაცემები და ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



### 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა. მას შემუშავებული აქვს ა(ა)ი.პ გურჯაანის სკოლამდელი საადმზრდელი დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ( მოვალეობის შემსრულებელი) 2026 წლის 05 თებერვლის ბ43.9026036001 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (შემდგომში-„დოკუმენტი“), სადაც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის ეტაპები. დოკუმენტის მერვე მუხლის („კადრების მოზიდვა და შერჩევა“) თანახმად:

1. დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:
  - 1.1. ობიექტურობა – შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;
  - 1.2. გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის.
2. პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას.
3. დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. პერსონალის დასაქმება მარეგულირებელი დოკუმენტის მე-10 მუხლის საფუძველზე ხორციელდება ღია კონკურსი, სადაც ჩამოყალიბებულია კონკურსის ჩატარების ეტაპები, ხოლო მე-16 მუხლის საფუძველზე პირდაპირი გზით დანიშვნა, როცა გაერთიანების დირექტორის გადაწყვეტილებით, პირი შესაძლებელია დაინიშნოს ვაკანტურ თანამდებობაზე პირდაპირი გზით. პერსონალის შერჩევის დროს დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ სამუშაო აღწერილობას. ვაკანტური პოზიციის დაკავებამდე, კანდიდატთან ტარდება გასაუბრება. „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ში განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება, შერჩევის/დანიშვნის პროცეს(ებ)ის ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

გაერთიანების ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ “ვაკანსიის საჯაროდ გამოქვეყნება შემუშავებული დოკუმენტის შესაბამისად არ განხორციელებულა დაწესებულებაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის**

#### რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის შერჩევის, კადრების მოზიდვის, და დასაქმების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა. პერსონალის შერჩევის პროცესი უნდა იყოს მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა. ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ საქმიანობის წარმართვისას უნდა იხელმძღვანელოს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” მიხედვით.

#### რჩევა

---

---

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის განახლებული გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის შერჩევის, კადრების მოზიდვის და დასაქმების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას. პერსონალის შერჩევის პროცესი იქნება მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა. ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულება საქმიანობის წარმართვისას იხელმძღვანელებს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” მიხედვით.. აქტივობის დაწყების სავარაუდო თარიღი: 2026 მაისი აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი 2027 წლის თებერვალი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა: 9 თვე.

პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული: გაერთიანების დირექტორი, ბალის მენჯერი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეულმა პირმა, რომ შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. პერსონალის მათვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია ა. (ა) ი.პ გურჯაანის სკოლამდელი საადმზრდელი დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 5 თებერვლის ბ 43.9026036001 ბრძანებით დაწესებულება, ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის



პროცესზე. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია: ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა; ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან; მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა; საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა; პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება; მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში; უკუკავშირის კულტურის გაძლიერება. თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ დაწესებულებაში ყველა თანამშრომელი ინფორმირებულია და ჩართული ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესში

**აღნიშნულიდან გამომდინარე ,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

**5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში განხორციელებული ორდღიანი ვიზიტი და განხორციელებული ინტერვიუები ნათლად გამოკვეთს საბავშვო ბაღში არსებულ თანამშრომლობით კულტურასა და გუნდურ სამუშაო გარემოს. თანამშრომლობითი ურთიერთობები ურთიერთპატივისცემა და გუნდურობას ეყრდნობა, რაც ზრდის ჩართულობას, მოტივაციასა და ეფექტიან შრომისუნარიანობას. თანამშრომლებთან განხორციელებულ ინტერვიუზე თითოეული ადასტურებს საუკეთესო პრაქტიკების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების კულტურას. აღსაზრდელების ზრუნვის პროცესში კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებში ჩართულობას, სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვას, კვების უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობას და ა.შ. დაწესებულების მენეჯერის როლს თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია



.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

#### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტის მე-4 თავის მე-19 მუხლი განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს შეფასების პრინციპებსა და საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს. ინტერვიუებისას გაერთიანების ხელმძღვანელმა და ბალის მენეჯერმა დაადასტურა, რომ ვინაიდან დოკუმენტი არის ახალი დამტკიცებული პროცესის საქმიანობის განხორციელებისა და საქმიანობის შეფასების შედეგები არ არის ამ ეტაპისთვის ხელმისაწვდომი. საჭიროებათა მოკვლევა ხორციელდება საბავშვო ბალის მენეჯერის მიერ თანამშრომლებთან ზეპირსიტყვიერად, რომელიც თავის მხრივ აცნობს გაერთიანების ხელმძღვანელს მიღებულ ინფორმაციას და შემდგომ გათვალისწინება ხდება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, სფეროების მიხედვით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის შეფასებასა და საჭიროებათა მოკვლევას ანხორციელებს ზეპირსიტყვიერად, შესაბამისად ანალიზის შედეგები არ არის ხელმისაწვდომი და პერსონალის განვითარების გეგმა არ არის ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი. დაწესებულება/გაერთიანება პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევას ანალიზის შემდეგ შეიმუშავებს პერსონალის განვითარების გეგმას. აღნიშნულის შესახებ დაწესებულების/გაერთიანების მხრიდან წარმოდგენილმა პირებმა განაცხადეს ინტერვიუების პროცესში. უფლებამოსილ პირთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიმდინარეობა მისცემს დაწესებულებას/გაერთიანებას შესაძლებლობას პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა კვლევის ანალიზის საფუძველზე შექმნას პროფესიული განვითარების გეგმა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის .**

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის უზრუნველყოს პერსონალის განვითარება გამოვლენილი საჭიროებების გეგმის მიხედვით, რომლის მექანიზმი წარმოდგენილია “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” მუხლი 20-ში - თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება.

### რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების გეგმის მიხედვით, რომლის მექანიზმი წარმოდგენილია “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” მუხლი 20-ში - თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. აქტივობის დაწყების სავარაუდო თარიღი: 2026 მათი აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი 2027 წლის თებერვალი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა: 9 თვე. პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული: გაერთიანების დირექტორი, ბადის მენჯერი.



აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში მე-20 მუხლის მე-4 და მე-5 ქვეთავში განმარტებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით პირდაპირი შეხვედრების ფორმატში გამოთქმული ინიციატივების დაფიქსირებისა და წახალისების მეთოდები. ინტერვიუს განხორციელებისას თანამშრომლებმა დაადასტურეს აღნიშნული პრაქტიკის არსებობა, სათანადო მტკიცებულებები საავტორიზაციო ვიზიტის მიმდინარეობისას საბავშვო ბაღს არ წარმოუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....  
.....

რჩევა

.....  
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ორგანოგრამა
2. პერსონალის პირადი საქმე
3. შინაგანაწესი
5. გურჯაანის სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შორის სამსახურებრივი ფუნქციების გადანაწილების შესახებ დოკუმენტი
6. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
7. ხელშეკრულებები, დანიშვნის აქტები
8. პირველადი დახმარების კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი

- 9 პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი
- 10 სოფელ ახაშენის შესაბამისობის გეგმა
- 11.სამოქმედო გეგმა
- 12.ინტერვიუს შედეგები.

<b>შეფასება:</b>			
<b>4.1. პერსონალის მართვა და განვითარება</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

#### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ა.(ა)ი.პ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ( მოვალეობის შემსრულებელი) მიერ 2026 წლის 05 თებერვლის N 843.90260362 ბრძანებით დამტკიცებულია „პროცესების აღმწერი და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“ (შემდგომში-„ხარისხის უზრუნველყოფა“).პროცესული მიდგომების განხორციელებისათვის დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს პროცესები: იგი მოიცავს სამ მიმართულებას: მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. მმართველობით პროცესს მიეკუთვნება სტრატეგიული დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება ხდება კონკრეტული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ძირითადი პროცესებია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება (კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, კურიკულუმის დამტკიცება, კურიკულუმის გაზიარება, კურიკულუმის განხორციელება, კურიკულუმის შეფასება, კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება, საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა, ჯგუფური ოთახის/გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა, საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება,

ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მეთოდების გამოყენება, პორტფოლიოების წარმოება, საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება. სსმ ბავშვთან მუშაობის მექანიზმების განსაზღვრა, ადრეული ინტერვენციის პროგრამების, აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების და სხვა (ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე) ჩართული გარე დამხმარე სპეციალისტების ინტეგრაცია პროცესში, სსმ ბავშვების მომსახურების შეფასება და შემდგომი განვითარება ბავშვის რეგისტრაცია/ჩარიცხვა, ბავშვის გადაყვანა, ბავშვის ამორიცხვა, სარეზერვო სიების წარმოება, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესის შეფასება და შემდგომი განვითარება. კომუნიკაციის წესის შემუშავება, მისი გამართული ფუნქციონირების მონიტორინგი, შეფასება, გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება, საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირის დროული დამუშავება და შეფასება, ) დამხმარე პროცესებია : დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობის უზრუნველყოფა (სტრუქტურა/ორგანოგრამა, სამუშაო აღწერილობა), ადამიანური რესურსის მოზიდვა, შერჩევა, დასაქმება და დაწესებულებიდან გასვლა, შინაგანაწესის განხორციელება და ხელშეკრულებების წარმოება, პერსონალის განვითარება (ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა, პერსონალის განვითარების გეგმის შედგენა), ადამიანური რესურსის მართვის პროცესის შეფასება და შემდგომი განვითარება. წლიური საკომუნიკაციო გეგმის შედგენა, ოფიციალური ვებგვერდის (არსებობის შემთხვევაში) და სოციალური ქსელის ადმინისტრირება. კვების მენიუს შემუშავება, კვების მენიუს უზრუნველყოფა, პერსპექტიული მენიუ და მასთან დაკავშირებული საკითხების (მენიუ-განრიგი, ჩანაცვლების ცხრილები, პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის ცხრილი, ტექნოლოგიური ბარათი/კერძების კარტოთეკა, მიკვლევადობის ჟურნალი) უზრუნველყოფა, 2-6 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი, ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვების რეგულირება, პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი, საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავება, მომზადება და სერვირება, პროცესების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება. და სხვა)

**აღნიშნულიდან გამომდინარე,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. პროცესები. ა.(ა).პ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ( მოვალეობის შემსრულებელი) მიერ 2026 წლის 05 თებერვლის Nზ43.90260362 ბრძანებით დამტკიცებულია „პროცესების აღმწერი და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“ (შემდგომში-„ხარისხის უზრუნველყოფა“)დაწესებულებას არ ჰყავს „პროცესების აღმწერი და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი“ განსაზღვრული ხარისხის სპეციალისტი. აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის ათთვიანი გეგმა, რომელიც განსაზღვრულია შემდეგნაირად 1. გაერთიანების მიერ ფინანსური სახსრების მოძიება სპეციალისტის ანაზღაურებისათვის .2. საშტატო ნუსხაში ხარისხის მართვის სპეციალისტის დამატება 3. კონკურსის წესით ხარისხის სპეციალისტის შერჩევა და ხელშეკრულების გაფორმება

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

### რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის ათთვიანი გეგმის შესრულება შემდეგნაირად 1. გაერთიანების მიერ ფინანსური სახსრების მოძიება სპეციალისტის ანაზღაურებისათვის 2. საშტატო ნუსხაში ხარისხის მართვის სპეციალისტის დამატება 3. კონკურსის წესით ხარისხის სპეციალისტის შერჩევა და ხელშეკრულების გაფორმება.

### რჩევა

.....  
.....

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სოფელ ახაშენის საბავშვო ბაგა-ბაღში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება ააიპ გურჯაანის სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანების მიერ დამტკიცებული ბრძ. N ზ43. 9025247001 ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესით, რომელიც ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემუშავებული, რეგისტრაციის ფორმა არის როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული. იგი არეგულირებს ბავშვის მიღებას -რეგისტრაციას, ჩარიცხვას და ამორიცხვას, ჯგუფების დაკომპლექტებას

და დამატებითი შერეული ჯგუფების შექმნას, საქმისწარმოებისთვის დაწესებულებაში წარსადგენ საბუთების ნუსხას, განსაზღვრავს პრიორიტეტულ ჯგუფებს ჩარიცხვის დროს, სარეზერვო ჯგუფების ბაზების შექმნას. ჩარიცხვა-ამორიცხვის წესით განსაზღვრულია იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელიც მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს გაერთიანების დირექტორის სახელზე, რაც შემდგომში გახდება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობა. დაწესებულებას აქვს მზაობა ბავშვთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცესების განსახორციელებლად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**რეკომენდაცია**

.....

**რჩევა**

.....

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

.....

**4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულება აწარმოებს პერსონალის პირად საქმეების დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც პერსონალთა მართვის პროცესების დოკუმენტშია გაწერილი. დაწესებულება აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი; რეზიუმე; განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან; ნასამართლეობა, ნარკოლოგიური, ჯანმრთელობის ცნობა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა. კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები; შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები; კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები); შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.



დაწესებულებას წინასწარ აქვს განსაზღვრული წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა-პერსონალის პირადი საქმეებისთვის ასევე ბავშვების პირადი საქმეებისთვისაც. ხოლო ბავშვის პირად საქმეების წარმოება მოხდება ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება იწერება შესაბამისი სკოლამდელი დაწესებულების მენეჯერის სახელზე; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; ბავშვის ჯანმრთელობის ცნობაში უნდა მითითებული იყოს ასევე ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული 33 დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ; ბავშვის ფოტოსურათი 4 ცალი (3X4); ბავშვის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში; მშობლ(ებ)ის /კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი; მშობლ(ებ)ის/კანონიერი წარმომადგენლის რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი; მშობლ(ებ)ის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა; მშობლ(ებ)ის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის); მშობლების განქორწინების შემთხვევაში-სასამართლოს გადაწყვეტილება/ დადგენილება ბავშვის მიმართ მშობლების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და მეორე მშობლისათვის ბავშვის მონახულების უფლების შესახებ); ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში); იძულებით გადაადგილებული პირის შესახებ დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული; შშმ და სსმ სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული შეფასება/ რეკომენდაცია ბავშვის ასაკობრივი განვითარებისა და საბავშვო ბაღში ჩართვის თაობაზე; არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში ვერ მოხდება ბავშვის საბავშვო -ბაღში ჩარიცხვა;

**აღნიშნულიდან გამომდინარე,ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი
2. სრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი
3. ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი
4. ბავშვის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება სავალდებულო დანართით (შაბლონი)
5. პერსონალის პირადი საქმე.

შეფასება:			
<b>4.2 პროცესების მართვა</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

#### 4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
<b>4.3 მატერიალური რესურსი</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

#### 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას



აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
<b>4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

#### 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

##### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
<b>4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

#### 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

##### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)ი.პ გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის 243. 90260423 ბრძანებით დამტკიცებული “პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების წესის” დოკუმენტი, რომლის მიხედვით გაწერილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შემდეგი მექანიზმები:

1. პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად სტრუქტურული ერთეულებში (ბაგა-ბაღში) მოქმედებს სამედიცინო სივრცე;
2. სამედიცინო სივრცე აღჭურვილია პირველადი დამარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, კარადა პირველადი დახმარებისათვის საჭირო ნივთებისთვის, და პირველადი დახმარებისათვის საჭირო მასალები (კონტეინერი, ბამბა, ლეიკოპლასტერი, მარლის საფენი ეთილის სპირტი, სტერილური ბინტი, ნიღაბი სამშრიანი, ბინტი ელესტიური, შპრიცი, არასტერილური სამედიცინო მარლა, ბახილი პოლიეთილენის, ნატრიუმის ქლორიდი, ბეტადინის ხსანარი, სიცხის საზომი, სამედიცინო ხელთათმანი), რომლის ვადების კონტროლზე პასუხისმგებელია ექთანი. დაწესებულებას აქვს კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სივრცე ,
3. ექთანს აქვს დახარჯული სამედიცინო მასალების აღრიცხვის ჟურნალი ( შაბლონი)
4. ექთანს და აღმზრდელს აქვთ აღსაზრდელის მიერ მიღებული სამედიცინო შემთხვევის აღრიცხვის ჟურნალი ( შაბლონი)
5. მედიკამენტოზური ჩარევა მოხდება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში (ქრონიკული დაავადებები) ბავშვის მშობელთან შეთანხმებით, ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო დასკვნის (ფორმა 100) საფუძველზე;
6. უბედური შემთხვევის დროს ბაღში მომუშავე ყველა პირი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი მოქმედებები: დროულად მოუხმოს ბაღის ექთანს, არ გადაადგილოს დაზარალებული ექთანის მოსვლამდე გარდა იმ შემთხვევისა, როცა იქ დარჩენა სახიფათოა, აუცილებლობის შემთხვევაში პირმა, რომელიც გადამზადებულია პირველადი დახმარების აღმოჩენაში გაუწიოს დაზარალებულს პირველადი გადაუდებელი დახმარება, აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახოს სასწრაფო დახმარება, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებისას ოპერატორს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია: ბაღის მისამართი, რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა, ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია, თუმცა დაწესებულებას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 11 თვეზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ,ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილება დაწესებულებამ მოახდინოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის 11 თვიან პერიოდში . მიმართოს გაერთიანებას , რომელიც მოიძიებს ფინანსურ რესურსს საევაკუაციო და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად



რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

**2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში არსებულ ნარგავებზე არ არის დადგენილი უსაფრთხოება, შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაწერილია 11 თვეზე  
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის 11 თვიან პერიოდში მოახდინოს პერიმეტრზე არსებული მცენარეების უსაფრთხოების დადგენის მიზნით სპეციალისტთან ხელშეკრულების გაფორმება და დასკვნის მომზადება .  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

**3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა



